ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7388119

ნომერი: AR11077137

თარიღი : 10.02.2025

გაცემის თარიღი : 21.02.2025

გაცნობის თარიღი : 21.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეჩხუმის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგი ვისოცკი პ/ნ 65007000043
- თბილისი უ.ჩხეიძის ქ. N 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 10 თებერვალს №AR11077137 განცხადებით მომართა ვახტანგ ვისოცკიმ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 10

დეკემბრის №7315423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებით №01.12.12.029.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2027 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის მე-4 ეტაპით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის ნიშნულები არ შეესაბამება შეთანხმებული პროექტით განსაზღვრულს. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 14 ივნისის №AR11039957 განცხადებაზე წარმოდგენილ კალედარულ გრაფიკში მშენებლობის მე-4 ეტაპით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის ნიშნულები არ შეესაბამება შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებულ ნიშნულებს. ამასთან, შეთანხმებული კალენდარული გრაფიკი არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ კალენდარულ გრაფიკში ნიშნულების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებაში და ამავე ბრძანების მე-4 პუნქტში მშენებლობის მე-4 ეტაპი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან
0.00-დან - 8.10 მ-მდე;
8.10 -დან - 14.70 მ-მდე;
14.70 -დან - 21.30 მ-მდე;
21.30 -დან - 27.90 მ-მდე;
27.90 -დან - 30.40 მ-მდე.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებით შეთანხმებული კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული კალენდარული გრაფიკით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის №7315423 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.